№718 2015 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის ქონების აუქციონის გარეშე, ვადიან სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას, შპს „ჯეოსელს“ (ს/კ 203841940) არა უმეტეს 1 წლის ვადით გადასცეს სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, კანდელაკის ქ. №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 01.10.14.003.014) სხვენზე არსებული 7 კვ.მ ტექნიკური ოთახის, ხოლო სახურავზე არსებული 1 კვ.მ – ანტენების განსათავსებლად.

2. ქონების სარგებლობაში გადაცემის წლიური საფასური განისაზღვროს „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**